პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

Газета выходит с 1926 года.

№ 9 (2052) 2 მარტი, შაბათი, 1985 წელი. ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

## 1 МАРТА СОСТОЯЛСЯ XXI ПЛЕНУМ ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ

Пленум обсудил ход выполнения решений XVII (1979 г.) пленума Центрального Комитета Компартии Грузии и задачи партийной организации республики по дальнейшему улучшению подбора, расстановки и воспитания кадров, совершенствованию стиля их работы в свете положений и выводов, содержащихся в выступлениях и трудах товарища К. У. Черненко.

Были рассмотрены отчет о работе бюро и секретариата ЦК КП Грузии за 1984 год и задачи по ее дальнейшему совершенствованию в 1985 году; информация об итогах отчетно-выборных собраний в первичных парторганизациях Грузии; информация о ходе заслушивания отчетов коммунистов с утверждением их партийных характеристик в первичных парторганизациях республики; утвержден статистический отчет о составе Грузинской партийной организации.

С большой речью на пленуме выступил кандидат в члены Политбюро ЦК КПСС, первый секретарь ЦК Компартии Грузии Э. А. ШЕВАРДНАДЗЕ.

По обсужденным вопросам приняты соответствующие постановления.

В работе пленума приняли участие заведующий сектором отдела организационно-партийной работы ЦК КПСС М. П. ЧЕМОДАНОВ, инструкторы отдела организационно-партийной работы ЦК КПСС Б. А. МАЛЬКОВ, В. К. ШЛЕПОТИНА.

(Грузинформ).

# Сегодня Грузии вручено переходящее Красное знамя ЦК КПСС, Совета Министров СССР, ВЦСПС и ЦК ВЛКСМ

***ЭТА ВЫСОКАЯ ОЦЕНКА ЯВЛЯЕТСЯ ВЫРАЖЕНИЕМ ПРИЗНАНИЯ ПАРТИЕЙ И ПРАВИТЕЛЬСТВОМ БОЛЬШОГО ВКЛАДА, КОТОРЫЙ ВНОСИТ РЕСПУБЛИКА В РАЗВИТИЕ ЭКОНОМИКИ НАШЕЙ РОДИНЫ.***

В двенадцатый раз подряд успехи тружеников Советской Грузии отмечены победой во Всесоюзном социалистическом соревновании. Вручению переходящего Красного знамени ЦК КПСС, Совета Министров СССР, ВЦСПС и ЦК ВЛКСМ, венчающего победу минувшего года, было посвящено собрание партийно - хозяйственного актива республики, состоявшееся 2 марта в Большом зале Грузинской государственной филармонии.

На собрание были приглашены члены и кандидаты в члены ЦК, члены Ревизионной комиссии Компартии Грузии, депутаты Верховного Совета СССР и Верховного Совета Грузинской ССР, руководящие работники партийных, советских, профсоюзных, комсомольских органов, министерств, ведомств и учреждений, крупных предприятий и организаций, передовики и новаторы коллективов, награжденных по итогам 1984 года переходящими Красными знаменами ЦК КПСС, Совета Министров СССР, ВЦСПС и ЦК ВЛКСМ, а также ЦК Компартии Грузии, Совета Министров республики, Совпрофа и ЦК комсомола Грузии, деятели науки и культуры, представители Краснознаменных Закавказских военного и пограничного округов, средств массовой информации.

В президиуме — кандидат в члены Политбюро ЦК КПСС, первый секретарь ЦК Компартии Грузии Э. А. ШЕВАРДНАДЗЕ, член ЦК КПСС, заместитель Председателя Совета Министров СССР Я. П. РЯБОВ, члены и кандидаты в члены бюро ЦК КП Грузии Г. А. АНДРОНИКАШВИЛИ, Г. Д. ГАБУНИЯ, П. Г. ГИЛАШВИЛИ, Г. Н. ЕНУКИДЗЕ, А. Н. ИНАУРИ, Д. Л. КАРТВЕЛИШВИЛИ, Б. В. НИКОЛЬСКИЙ, Д. И. ПАТИАШВИЛИ, Т. В. РОСТИАШВИЛИ, С. Е. ХАБЕИШВИЛИ, О. Е. ЧЕРКЕЗИЯ, Н. А. ЧИТАНАВА, З. А. ЧХЕИДЗЕ, Б. В. АДЛЕЙБА, Т. И. МОСАШВИЛИ, В. Р. ПАПУНИДЗЕ, Ф. С. САНАКОЕВ, Ж. К. ШАРТАВА, заведующий сектором отдела организационно-партийной работы ЦК КПСС М. П. ЧЕМОДАНОВ, инструкторы отдела организационно - партийной работы ЦК КПСС Б. А. МАЛЬКОВ, В. К. ШЛЕПОТИНА, представители автономных республик и области, городов, районов, предприятий, организаций, хозяйств — победителей Всесоюзного и Республиканского социалистического соревнования.

Единодушно, с большим подъемом собравшиеся избрали почетный президиум в составе Политбюро ЦК КПСС во главе с Генеральным секретарем ЦК КПСС, Председателем Президиума Верховного Совета СССР К. У. Черненко.

Собрание актива открыл Председатель Совета Министров Грузинской ССР Д. Л. КАРТВЕЛИШВИЛИ.

Слово предоставляется члену ЦК КПСС, заместителю Председателя Совета Министров СССР Я. П. РЯБОВУ. Он горячо и сердечно поздравил трудящихся республики с заслуженной высокой наградой, пожелал новых больших успехов в завершающем году пятилетки в борьбе за достойную встречу XXVII съезда партии.

Под бурные продолжительные аплодисменты товарищ Я. П. Рябов вручает переходящее Красное знамя ЦК КПСС, Совета Министров СССР, ВЦСПС и ЦК ВЛКСМ руководителям и представителям трудящихся Грузинской ССР.

Знамя принимают кандидат в члены Политбюро ЦК КПСС, первый секретарь ЦК Компартии Грузии Э. А. ШЕВАРДНАДЗЕ, Председатель Президиума Верховного Совета Грузинской ССР П. Г. ГИЛАШВИЛИ, Председатель Совета Министров Грузинской ССР Д. Л. КАРТВЕЛИШВИЛИ, председатель Совпрофа Грузии Т. И. МОСАШВИЛИ, первый секретарь ЦК комсомола республики В. Г. ЛОРДКИПАНИДЗЕ, представители коллективов — победителей Всесоюзного социалистического соревнования, знатные люди республики.

С докладом «Об итогах выполнения социалистических обязательств, принятых трудящимися Грузинской ССР на 1984 год, и задачах по успешному завершению 1985 года и одиннадцатой пятилетки в целом в свете положений и выводов, седержащихся в выступлениях и трудах товарища К. У. Черненко», выступил кандидат в члены Политбюро ЦК КПСС, первый секретарь ЦК Компартии Грузии Э. А. ШЕВАРДНАДЗЕ.

Единогласно принимается резолюция собрания партийно - хозяйственного актива республики.

С большим воодушевлением участники собрания приняли письмо Центральному Комитету Коммунистической партии Советского Союза, Генеральному секретарю ЦК КПСС, Председателю Президиума Верховного Совета СССР товарищу К. У. Черненко.

На собрании актива было принято Обращение Центрального Комитета Компартии Грузии к коммунистам, всем трудящимся республики, в котором выражается уверенность, что и на этот раз они четко определят свое место в общем строю, мобилизуют все силы, знания, умение, опыт на безусловное выполнение планов и социалистических обязательств 1985 года, пятилетки в целом, на создание прочного фундамента для успешной работы в двенадцатом пятилетии.

(Грузинформ).

## НА ЗАСЕДАНИИ КОЛЛЕГИИ

МВД ГССР был рассмотрен кадровый вопрос. Майор милиции Букулов Валерий Шалвович назначен начальником Джавского РОВД. Ранее В. Букулов работал заместителем начальника того же отдела. Майор в/с Хуцураули Георгий Павлович назначен начальником отдела материально-технического обеспечения ХОЗУ МВД ГССР. Ранее Г. Хуцураули работал заместителем начальника того же отдела. Капитан в/с Иванченко Антонина Васильевна назначена начальником планово-экономического отдела УИТУ МВД ГССР.

Итоговая проверка состояния служебной и боевой подготовки, переподготовки и повышения квалификации рядового и начальствующего состава, отмечалось на заседании коллегии, показала, что в целом в органах внутренних дел республики обучение личного состава организовано в соответствии с требованиями приказов и указаний МВД СССР.

Вместе с тем, в ряде органов и подразделений внутренних дел работа по профессиональной подготовке сотрудников характеризуется серьезными упущениями и недостатками, вследствие чего сотрудники слабо знают свои функциональные обязанности, приказы и инструкции, регламентирующие деятельность служб, плохо владеют табельным оружием и правилами его применения, общий уровень подготовки зачастую не отвечает повышенным требованиям сегодняшнего дня.

В целях устранения все еще существующих недостатков в организации боевой и служебной подготовки кадров и поднятия профессиональной подготовки личного состава органов внутренних дел на заседании коллегии был разработан комплекс мероприятий.

სარედაქციო წერილი

# პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე

ჩვენს რესპუბლიკაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაუმჯობესებისათვის შექმნილია მოქმედების ისეთი სისტემა, რომლის მეოხებით უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მიღწეულია ოპერატიული ვითარების გარკვეული სტაბილიზაცია. ამაზე მკაფიოდ და ნათლად იყო ლაპარაკი რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე, რომელიც მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების საკითხებს მიეძღვნა. როგორც ითქვა, გაწეული მუშაობის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა დანაშაულობანი, მკვლელობები და მკვლელობის მიზნით თავდასხმები, სხეულის მძიმე დაზიანება, ყაჩაღობა, ძარცვა, სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობა, არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევები, საგზაო შემთხვევები და სხვ.

როცა ვაჯამებთ მუშაობის შედეგებს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დისციპლინის განმტკიცება, სოციალისტური მართლწესრიგის უზრუნველყოფა ჩვენში ახლა ნამდვილად დიდი პარტიული საქმე გახდა. ამის შედეგად საშუალება მოგვეცა ნიადაგ ვაანალიზებდეთ შექმნილ ოპერატიულ ვითარებას და ვახორციელებდეთ საჭირო ღონისძიებებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში, ნეგატიურ ტენდენციათა აღმოფხვრაში. ამ მხრივ კარგი შედეგები აქვს თბილისის პარტიულ ორგანიზაციას. საერთო ვითარება ერთგვარად გაუმჯობესდა აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავის, ზესტაფონის, ახმეტის, მაიაკოვსკისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში და ქალაქებში. ამ საერთო წარმატებებმა უწინარესად სასიკეთო გავლენა იქონიეს სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებასა და მიღწევებზე, ცალკეულ საწარმოთა წინსვლაზე. ამასთან ბევრისათვის დამაფიქრებელი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის წარმატებებს ეკონომიკის განვითარების დარგში სერიოზული დაღი დაასვა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის დაბალმა მაჩვენებლებმა, რის შედეგადაც ისინი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა სიაში ვერ მოხვდნენ. ასეთებია, მაგალითად, ქუთაისის, ავტოქარხნის, გლდანის, გალის, გურჯაანის, კასპის, თელავის, თეთრი წყაროს, ქარელისა და სხვა რაიონები.

სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის უეფექტოდ და უინიციატივოდ წარმართვის გამო ზოგან ოპერატიული მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. საყვედურს იმსახურებენ, მაგალითად, გორის, ლაგოდეხის, ამბროლაურის, წულუკიძის, ოჩამჩირის და სხვა რაიონები, სადაც გაუარესდა ვითარება, იმატა ზოგიერთი სახის დანაშაულობებმა.

საზოგადოებრივი წესრიგის მტკიცე დაცვა, დანაშაულობათა თავიდან აცილებისათვის ზრუნვა და ამ საქმეში მრავალმხრივი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება ჩვენი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოების, მთელი საზოგადოების უპირველესი ამოცანაა. ეს ამოცანები და პრობლემები ასე ორგანიზებულად რომ ხორციელდება, ამიტომაც გვაქვს ამ ეტაპზე სერიოზული წინსვლა და სასიკეთო შედეგები, მაგრამ დარღვევები და დანაშაულობანი მაინც არის და ისინი აუფერულებენ ჩვენ საერთო წარმატებებს. ცხადია, ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ უფრო მეტად და გაბედულად უნდა შევუტიოთ უკულმართ მოვლენებს, მცირეოდენ გადახრებსაც კი, რათა არ დავთმოთ მოპოვებული პოზიციები.

# სანიმუშო წესრიგის განმტკიცებისათვის

## რესპუბლიკაში დამთავრდა ღია წერილის ერთიანი დღე

ჩვენს რესპუბლიკაში დიდი აღმავლობით მიმდინარეობდა ღია წერილის დღე, რომელიც საქართველოს კომპარტიის საქმიანობის ერთ-ერთი ახალი ფორმაა. იგი მასებთან კავშირის განმტკიცების, საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და გათვალისწინებაა ამა თუ იმ პრობლემების მიმართ. ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები შეხვდნენ შრომით კოლექტივებს. აღსანიშნავია, რომ ღია წერილის დღეს, მშრომელთა მიერ აღძრული ბევრი საკითხი ოპერატიულად გადაწყდა ადგილებზე. ეს საკითხები ეხებოდა ცხოვრების ყველა სფეროში, ყველგან და ყველაფერში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებას, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომ გაჯანსაღებას.

ეს ნათლად დაადასტურა ღია წერილის დღემ ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობაში, რომელიც საქართველოს კომპარტიის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ გამართა და სოციალისტური კანონიერების დაცვის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებს მიეძღვნა. ეს გასაგებიცაა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ თბილისის კომიტეტის თაობაზე, ჩვენს რესპუბლიკაში დიდი გარდაქმნების დაწყებისთანავე ხუცუბნელი მშრომელები სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების ერთ-ერთ ინიციატორებად გამოვიდნენ. მათი თაოსნობა მთელ რესპუბლიკაში გავრცელდა და, როგორც ამას წინათ საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე აღინიშნა, დადებითი როლი შეასრულა ყველგან და ყველაფერში წესრიგისათვის მასების დასარაზმავად.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა სასიკეთოდ, ბევრიც დღის წესრიგშია და გადაწყვეტას ელის. მშრომელებს აინტერესებს, რა ღონისძიებები ხორციელდება ამ მიმართულებით, რა და როგორ უნდა გაკეთდეს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისათვის, კვლავაც როგორ უნდა განმტკიცდეს კავშირი ადმინისტრაციულ ორგანოებსა და საზოგადოებრიობას შორის.

ღია წერილის დღეზე შემოსული შეკითხვების დიდი ნაწილი სწორედ ამ სულისკვეთების იყო.

დამსწრეთა შეკითხვებს უპასუხეს აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯ. მიქელაძემ, ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს პროკურორმა დ. თამაზაშვილმა, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. წულუკიძემ, პარტიის ქობულეთის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. მესხიძემ.

გამოითქვა, მოსაზრებანი, რომ გაძლიერდეს ბრძოლა მაწანწალების, წინააღმდეგ, მათ მიმართ ვინც თავს არიდებს საკოლმეურნეო შრომას და ა. შ.

ღია წერილის დღეზე კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მინიმუმამდე შემცირდა ქვეყნის შორეულ ბაზრებზე ციტრუსოვანთა ნაყოფის სპეკულაციის ფაქტები, ასე, რომ ჩრდილავდა რესპუბლიკის მშრომელთა სახელსა და ავტორიტეტს, ქართველი კაცის ღირსებას. მაგრამ არც ის დაუფარავთ, რომ სოფელში არის სხვა დანაშაულთა ფაქტები და ამას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ. თითოეულმა ხუცუბნელმა უნდა იფიქროს იმაზე, რომ მათი სოფელი წესრიგისათვის ბრძოლის მოთავეა. მოთავე კი ყოველთვის სანიმუშო უნდა იყოს.

ღია წერილის დღეზე შემოსულ ბევრ შეკითხვას ამომწურავად უპასუხა ამხ. ვ. პაპუნიძემ. რიგი საკითხები ადგილზევე გადაწყდა ოპერატიულად, დანარჩენს გულმოდგინედ შეისწავლიან და განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ დამატებით აცნობებენ.

აღინიშნა, რომ საჭიროა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, საერთო წესრიგის მიღწევა, დისციპლინის შემდგომი განმტკიცება; თუ წინათ მეტწილად ელემენტარულ დისციპლინაზე გვქონდა ლაპარაკი, ახლა საქმე ეხება დისციპლინას ფართო გაგებით, მტკიცე სოციალისტურ დისციპლინას, რომელიც ყველა წარმატების ქვაკუთხედი, უტყუარი წინაპირობაა, წესრიგი, დისციპლინა შრომით კოლექტივიდან იწყება. სოფელში ყველა ხუთი თითივით იცნობს ერთმანეთს, იცის ვინ რას წარმოადგენს, ვინ რითი სუნთქავს, თუ ურთიერთკონტროლს მოვაწესრიგებთ, თუ ამხანაგურ ურთიერთმინიშნებას სწორად გავიგებთ და არ მოვერიდებით, დანაშაულის, სხვა უსიამოვნო შედეგებისაგან გადავარჩენთ ერთმანეთს. ეს პროფილაქტიკური მუშაობის საუკეთესო ფორმაა, პროფილაქტიკური მუშაობა კი მთავარია უმთავრესთა შორის— ითქვა შეხვედრაზე.

ღია წერილის დღემ ცხადყო, რომ შეხვედრების მონაწილეები მთავარ ამოცანად მიიჩნევდნენ ადამიანისათვის ზრუნვას და ამავე დროს მკაცრ, პრინციპულ შეფასებას აძლევდნენ მშრომელთა წერილებისა და განცხადებებისადმი ფორმალური, უსულგულო დამოკიდებულების თითოეულ ფაქტს, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების, დანაპირებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შეუსრულებლობის თითოეულ ფაქტს, რადგან დიდი ამაღლებით შეხვდნენ სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, დიადი გამარჯვების 40 წლისთავს.

# ОТВЕТСТВЕНЕН КАЖДЫЙ РУКОВОДИТЕЛЬ

**З. ХАЗАЛИЯ,**
**заместитель министра внутренних дел Грузинской ССР, полковник милиции.**

Руководство министерства внутренних дел республики уделяет большое внимание усилению профилактической противопожарной работы. Однако за последние два года на объектах органов внутренних дел ГССР обнаружены серьезные недостатки и упущения, приведшие к целому ряду пожаров.

Тушение пожара зависит от возможности своевременно подать к месту возникновения огня достаточное количество воды. Однако это, очевидно, не известно руководителям ряда объектов. Даже сейчас пустуют пожарные водоемы в детском приемнике-распределителе (начальник А. Г. Кения), не построен такой водоем в республиканской школе подготовки рядового и младшего начальствующего состава, нет охранно - пожарной сигнализации в целом ряде ГОРОВД.

Более того, в этих учреждениях первичные средства тушения пожаров находятся в разукомплектованном состоянии, в зданиях используют различные электронагревательные приборы, в том числе, и самодельные, которые являются крайне опасными в противопожарном деле.

Ни в одном из этих учреждений не задумываются над тем обстоятельством, что в случае пожара десятки человеческих жизней могут оказаться под угрозой.

Об этом надо серьезно подумать руководству СМУ МВД ГССР (начальник Р. В. Чомахидзе).

Особое беспокойство вызывает противопожарное состояние объектов УИТУ МВД ГССР. Еще в 1983 году совместно с Управлением пожарной охраны было проведено оперативно - служебное совещание с руководящим составом исправительно-трудовых учреждений по вопросу улучшения противопожарного состояния на подведомственных объектах.

Вначале произошли какие-то сдвиги, но постепенно это дело было пущено на самотек, а впоследствии итог равнялся почти нулю. Основные недочеты и упущения, которые взяты за основу противопожарной работы, не устранены и в настоящее время.

Неисправлено электрохозяйство бытовых и производственных помещений, отсутствуют или неисправлены установки автоматической пожарной и охранно-пожарной сигнализации и т. д.

Только за последние два года в учреждениях МВД ГССР произошло несколько пожаров. Из них три приходились на учреждение, где начальником В. Какичаишвили. 26 июня 1983 года горел сарай на территории учреждения, ровно через год, 25 июня 1984 года здесь же, на территории, опять пожар по причине неисправности газовых приборов. 11 июля 1984 года — снова пожар.

Возникает вопрос: почему там систематически не проверялось противопожарное состояние зданий и, в частности, электропроводки, из-за неисправности которой возник пожар. Такие серьезные недостатки невозможно не заметить.

Нельзя назвать удовлетворительной и противопожарное состояние исправительно - трудовых учреждений, где в 1983 году в столовой одного из учреждений сгорело имущество, а 20 февраля 1984 года в учреждении, где начальником В. Сабагуа, превратился в пепелище лесообрабатывающий участок. Материальный ущерб от огня на складе лесоматериалов составил несколько десятков тысяч рублей.

Грубо нарушаются правила пожарной безопасности в Земо-Авчальской воспитательно - трудовой колонии (начальник Р. Андгуладзе), где из года в год переносят капитальный ремонт электрохозяйства. О явной бесхозяйственности говорит то обстоятельство, что под лестничными клетками здесь уже долгое время устроены чуланы, которые в случае пожара могут перекрыть огнем лестничные проходы, что крайне опасно в учреждении с массовым пребыванием людей.

Уже более двух лет не приводится в должное противопожарное состояние помещение автохозяйства МВД ГССР (начальник З. Лория), где органы госпожнадзора давно должны были бы приостановить работу многих участков.

Неудовлетворительное положение с обеспечением противопожарной защиты объясняется тем, что начальники органов и подразделений внутренних дел республики самоустранились и не занимаются этими вопросами, не заслушивают их на оперативных совещаниях, а также на занятиях по служебной подготовке.

Вместе с тем, надо отметить, что мы имеем основательные претензии к органам государственного пожарного надзора, которые применяют строгие санкции к руководителям объектов и других сферах народного хозяйства, прекращают эксплуатацию и работу многих производственных участков, а к руководителям органов и подразделений внутренних дел проявляют либеральность.

Хочу напомнить руководителям наших объектов, что в Уголовном кодексе ГССР есть статья 246 — «Нарушение правил пожарной охраны». И в случае ее невыполнения мы будем применять силу закона. Другого пути борьбы с бесхозяйственностью нет.

## იცნობდეთ, მოწინავეა!

გაიოზ ხეტეშვილი 33 წლისაა. დუშეთის რაიონის სოფელ ხორხში დაიბადა, შემდეგ საცხოვრებლად მცხეთაში გადმოვიდა, აქვე დაოჯახდა კიდეც.

თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს ჰიდრომეტსამსახურის სამმართველოში ინჟინრის თანამდებობაზე, სადაც კომუნისტი გახდა.

აღნიშნული სამსახურის კოლექტივის რეკომენდაციით გაიოზი 1979 წელს სამუშაოდ მოვიდა შინაგან საქმეთა ორგანოებში. მან თავისი ჩეკისტური მოღვაწეობა დაიწყო ისეთი ფაქიზი სამსახურიდან, როგორიცაა არასრულწლოვანებთან მუშაობა. მუშაობდა რა უბნის ინსპექტორად არასრულწლოვანთა ხაზით, მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდა არასრულწლოვანთა აღზრდას. 1981 წელს მუშაობაში მიღწეული წარმატებისათვის დაჯილდოვდა „მილიციის ფრიადოსნის" სამკერდე ნიშნით.

გაიოზს, მოწინავე კომუნისტსა და მუშაკს განყოფილების ხელმძღვანელობამ გამოუცხადა ნდობა და ორი წლის უკან მცხეთის უბნის ინსპექტორად დააწინაურა.



გასულ წელს განყოფილების უბნის ინსპექტორების მიერ გაწეული მუშაობის შეჯამებისას, მილიციის უფროსი ლეიტენანტი გაიოზ ხეტეშვილი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა.

გარდა ამისა, გ. ხეტეშვილი მცხეთის შს რაიგანყოფილების შემცვლელი პროპაგანდისტია. ის ერთ-ერთ მარქსისტულ-ლენინური მომზადების ჯგუფს ხელმძღვანელობს.

1984 წლის დეკემბრიდან გ. ხეტეშვილი მცხეთის შს რაიგანყოფილების საპასპორტო სამსახურს ხელმძღვანელობს, ახლა გაიოზის უპირველესი საზრუნავი რაიონის ტერიტორიაზე საპასპორტო რეჟიმის განმტკიცებაა.

ჩვენ გვჯერა, რომ თავისი საქმის ერთგული, ამჯერადაც არაერთ წარმატებას მოიპოვებს და განამტკიცებს სიყვარულსა და პატივისცემას მოსახლეობას შორის.

**გ. ნიორაძე,**
**მცხეთის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში, მილიციის მაიორი.**

**ამ რუბრიკით სისტემატურად გავაშუქებთ შს ორგანოების ქვედანაყოფებში დამრიგებელთა საქმიანობას. მათ მუშაობას ახალბედა მუშაკებთან, ვისაუბრებთ მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე, მოწინავეთა გამოცდილებაზე. ამჯერად გთავაზობთ სტატიას ლანჩხუთის შს რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორზე, ზ. გოგუაძეზე, რომელიც დამრიგებელთა საბჭოს ხელმძღვანელობს.**

დამრიგებლობას — პასუხისმგებლობა, ინიციატივა

# მუნდირის ღირსება

ახლახან ლანჩხუთის შს განყოფილების თანამშრომლებმა მილიციის უფროსი ლეიტენანტი ზაურ გოგუაძე შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების დამრიგებელთა საბჭოს თავჯდომარედ აირჩიეს, რაც შემთხვევით არ ყოფილა: იგი გამოირჩევა ტაქტითა და ზომიერების გრძნობით, აქვს საკმაო გამოცდილება.

— დიდი მნიშვნელობა აქვს ახალბედა თანამშრომლისათვის დამრიგებელს, რომელიც მას შემდგომი მუშაობის უკეთ წარმართვაში დაეხმარება, — გვითხრა ზ. გოგუაძემ, რა პროფესიისა და ცოდნის ადამიანიც არ უნდა მოვიდეს მილიციის ორგანოებში სამუშაოდ, მას აუცილებლად ესაჭიროება გამოცდილი დამრიგებელი, რომელიც შესძლებს შეაყვაროს ახალბედას თავისი საქმე, გაარკვიოს ოპერატიული საქმიანობის მუშაობის საიდუმლოება და სხვ.

ზაურ გოგუაძეს მამა ფრონტზე დაეღუპა. ნიგოზეთის 8-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ დედას ამოუდგა მხარში და კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. მერე გულმა ქალაქისაკენ გაუწია და ბათუმს მიაშურა. ელექტრომექანიკური ქარხნის მუშა გახდა, მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში მიიღო საშუალო განათლება. საბჭოთა არმიის რიგებიდან ისევ ქარხანაში დაბრუნდა. შრომითმა კოლექტივმა მას რეკომენდაცია მისცა შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ.

რომელ ყმაწვილს არ უოცნებია გამომძიებლის ფათერაკებითა და თავგადასავლებით სავსე ცხოვრებაზე. ალბათ ზაურსაც ჰქონდა ეს სურვილი, — სწავლის გაგრძელება მილიციის სკოლაში. თითქმის ათი წელი იმუშავა აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბათუმის საქალაქო განყოფილებაში. სწორედ იქ შეემთხვა ის საინტერესო ეპიზოდიც, რომელმაც მას აგრძნობინა ოპერატიული მუშაობის დაძაბულობა და დამრიგებლის საიმედო ხელიც. ასეთი იყო ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე, აწ გარდაცვლილი გიორგი ნიკოლოზის ძე ლარიბოვი, საპატიო ჩეკისტი, შესანიშნავი ოპერატიული მუშაკი, დინჯი კაცი. იგი დიდ როლს უთმობდა ახალგაზრდობას, ცდილობდა ყოველი შეხვედრისას რაღაც ახალი მიეცა მათთვის და ხარობდა, როდესაც მიზანს აღწევდა. ერთ კვირა დღეს გამოიძახა ლარიბოვმა გოგუაძე და დავალება მისცა: ზ. გოგუაძეს განყოფილების სხვა თანამშრომელთან ერთად უნდა დაეკავებინა მოქალაქე, რომელსაც აკრძალული ტვირთი მიჰქონდა.

მის ფხიზელ თვალს არ გამოპარვია არც ერთი წვრილმანი დეტალიც კი.

ზ. გოგუაძე ბათუმიდან ლანჩხუთის რაიონში გადმოვიდა სამუშაოდ. იყო ჩოჩხათის და სუფსის უბნების ინსპექტორი, ახლა აკეთის, აცანის და მამათის მშრომელთა სიმშვიდეს იცავს.

დღეს ძალიან გაზრდილია უბნის ინსპექტორის მოვალეობათა არე: დანაშაულის პროფილაქტიკა, პირველადი მოკვლევა, მუშაობა მუქთახორებთან, ოჯახური და მეზობლური დავები, ერთი სიტყვით ზაური ამ სამი სოფლის პროკურორიც არის, გამომძიებელიც, მთავარი იურისკონსულტიც.

კომუნისტ ზაურ გოგუაძის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს ოჯახს და წიგნებს. მისი უმცროსი ვაჟი ოცნებობს მამის კვალს გაჰყვეს, ალბათ იმიტომ, რომ კარგად ხედავს როგორ უფრთხილდება მამა მუნდირის ღირსებას და როგორ პატივს სცემენ მას. და კიდევ მთავარი: ახალბედა თანამშრომელი — მათთან ყოველდღიური მუშაობა, ახლოს ყოფნა, ჭირის და ლხინის გაზიარება, ფიქრი ხვალინდელ დღეზე... ზაურ გოგუაძეც მათთან იქნება, როგორც მრჩეველი და საიმედო დასაყრდენი.

**მ. ბვარჯალაძე,**
**მილიციის ლეიტენანტი, ლანჩხუთის შს რაიგანყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივანი.**

საბრძოლო გუშაგი
БОЕВОЙ СТРАЖ

# დანაშაული, რომელიც არავის ეპატიება

მიმდინარე წლის იანვრის თვეში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრის, სამზარეულოს, სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკების, საზოგადოებრიობის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების მიერ, საგზაო-მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით სისტემატიურად ტარდებოდა რეიდები. რეიდის დროს გამოვლინდა ასობით წესრიგის დამრღვევი მძღოლი. სავალალოა, რომ უდისციპლინო მძღოლთა შორის შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებიც არიან. ამ დღეებში ჩატარებული რეიდის დროს ქ. თბილისის კალინინის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებასთან არსებული არასაუწყებო დაცვის თანამშრომლები იქნენ დაკავებულნი, რომლებიც საჭეს არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდნენ.

ლევან სიმონოვის „საშოფრო ბიოგრაფიაში“ ექვსი სხვადასხვა დარღვევაა ფიქსირებული: სიმთვრალეშიც ყოფილა შემჩნეული, ერთხელ კიდევ პირადი გამორჩენისათვის მანქანის გამოყენებაში. არასაუწყებო დაცვაში რომ განსაკუთრებული სიფხიზლეა საჭირო, ყველასათვის ცნობილია, რატომღაც ლ. სიმონოვს დაავიწყდა ასეთი მისია! მანაც „გაამართლა“ ნდობა და ამას წინათ ერთხელ კიდევ ნასვამ მდგომარეობაში მიუჯდა საჭეს, თანაც იმ დროს, როცა არასაუწყებო დაცვის კუთვნილ მანქანას მართავდა. შედეგი — დაეჯახა გაჩერებულ ტაქსს და მისი მძღოლი დაასახიჩრა. ბევრი ეხვეწა ლევანი ავტოინსპექციის მუშაკებს, თქვენი კაცი ვარ, მილიციაში ვმუშაობ, ნუ გამწირავთო, მაგრამ, რადგან კანონი ყველასათვის ერთია, თანაც იგი ყველაზე მეტად წესრიგის დამცველს მოეთხოვება, მას აქტი შეუდგინეს და ერთი წლით ჩამოართვეს მართვის უფლება.

და აი, კიდევ ერთი მსგავსი ფაქტი. ესეც კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების არასაუწყებო დაცვის მუშაკს ა. შაიშმელაშვილს ეხება. ისიც მთვრალი მართავდა საჭეს. რას მივაწეროთ ზედიზედ ორი ამგვარი შემთხვევა, ნუთუ ასე ვარჩევთ კადრებს? რატომ არის დისციპლინა და მომთხოვნელობა მოშვებული ამ კოლექტივში? იმედია, ჩვენს კითხვაზე და მიღებული ზომების შესახებ პასუხს აქაური ხელმძღვანელობა გაგვცემს.

სამწუხაროა, რომ ამ ბოლო დროს მართლაც გახშირდა საჭესთან სიმთვრალის შემთხვევები არასაუწყებო დაცვის მუშაკებს შორის. დედაქალაქის საქარხნო რაიონის არასაუწყებო დაცვის დარაჯია შ. ტოხიაშვილი, იგი 26 იანვარს, ნასვამ მდგომარეობაში, ღამის 4 საათზე, აეროპორტის გზატკეცილზე მიაქროლებდა მანქანას.

სიმთვრალე საჭესთან ბოროტი დანაშაულია. იგი ავარიების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

მკაცრი კონტროლი, მეტი მომთხოვნელობა და პრინციპულობა — ასეთი ამოცანა დაგვიყენა დღეს პარტიამ დღის წესრიგში. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ რომ წესრიგის დამცველს მეტი მოეთხოვება: და უფრო მთავარი: მეტი სიმკაცრე უნდა გამოვიჩინოთ ამ თანამშრომელთა მიმართაც, რადგან ავტორიტეტსა და ნდობას გამართლება სჭირდება.

**ნ. პაპაბაძე.**

# И ОПАСНА, И ТРУДНА...

**ИЗ ЛИЧНОГО ДЕЛА: Каландадзе Котэ Михайлович, заместитель начальника Кировского РОВД г. Тбилиси, подполковник милиции, в органах внутренних дел с 1968 года, член КПСС. За годы службы прошел путь от рядового милиционера до заместителя начальника райотдела. За достигнутые успехи в оперативно-розыскной работе и личную отвагу, проявленные при задержании особо опасных преступников К. Каландадзе приказом министра внутренних дел СССР В. Федорчука было досрочно присвоено звание подполковника милиции.**

* * *

Чем больше я слушала рассказы Котэ Каландадзе, тем больше мне хотелось «удариться» в настоящий детективный сюжет. В нем присутствовали бы все элементы, характерные для этого жанра: побег из мест лишения свободы, угон автомашины, выстрелы средь бела дня, разработка и проверка одной версии за другой и, наконец, задержание под покровом ночи.

Но от детективного романа он отличался бы одной деталью: это был бы документальный роман и главные герои его — реальные люди, наши соотечественники, и в настоящее время стоящие на страже правопорядка.

...Бандит Махатадзе, осужденный к длительному сроку заключения, бежал из мест лишения свободы. «Плацдармом» для своих действий он избрал г. Цхинвали. Физически сильный, вооруженный двумя пистолетами, он представлял угрозу жителям города, тем более что уже успел угнать автомашину и два раза выстрелить в мимо проезжающую машину.

Преступника надо было задержать во что бы то ни стало.

Руководить операцией было поручено молодому начальнику уголовного розыска Котэ Каландадзе.

...Проверять дома жителей села Мукути пришлось одному Каландадзе. В одном из них, несмотря на поздний час, за столом сидело шесть человек, мирно доедавших ужин. Среди них и бандит. Но ни Каландадзе, ни ужинавшие с ним мужчины не знали этого. По старой фотографии, имевшейся у Котэ, трудно было узнать преступника. А жителям села он представился пастухом, потерявшим ночью в горах стадо и нуждающимся в ночлеге.

— Мир дому сему, — сказал Котэ Каландадзе, входя в дом. Он быстрым взглядом окинул присутствующих, и мимо его внимания не прошло, что один из мужчин нервно передернулся, напрягся, искоса взглянув на вошедшего. Но радушное приветствие гостя разрядило обстановку.

Приближаясь к столу, Каландадзе вспоминал описание бандита: могучее телосложение, татуировка на руке. Стоп! Совпадает. Оказавшись рядом с подозреваемым, он попросил его предъявить документы. Тот охотно согласился и полез... за пояс. Мгновение, и могло произойти непоправимое. Но резким движением преступник был обезоружен.

Операция началась в одиннадцать часов вечера. А ровно через два часа Котэ Каландадзе докладывал начальнику управления о ее завершении. Особо опасный преступник был задержан.

За безупречно проведенную операцию Котэ Каландадзе Указом Президиума Верховного Совета СССР награжден медалью «За отличную службу по охране общественного порядка».

Эпизоды... эпизоды... Память выхватывает их из прошлого один за другим. Сколько их было? Разве можно счесть? Грабежи, разбои, кражи, убийства...

К. Каландадзе хранит в сейфе наручные часы «Слава». На вид самые обыкновенные, каких немало. Но бережет он их, как священную реликвию. На оборотной стороне дарственная надпись: «К. Каландадзе за хорошее проведение операции по задержанию расхитителя соцсобственности в особо крупных размерах. Министр внутренних дел Союза ССР».

Часы эти он завещал своему старшему сыну Темури. В день поступления на работу в органы внутренних дел Темури получит от отца часы, как эстафету борьбы за образцовый общественный порядок, утверждение добра, победы его над злом. В этом глубоко символический смысл, в этом преемственность поколений. Так было, есть и будет: добрые дела всегда передаются от отца к сыну, от старшего к младшему.

**А. СААКАДЗЕ.**

წითელსამკლაურიანი ადამიანები ჩვეულებრივი მოვლენაა რესპუბლიკის ქალაქების ქუჩებში და მოედნებზე. ეს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელები არიან. სამუშაოსაგან თავისუფალ დროს ისინი მილიციის თანამშრომლებთან ერთად დგანან საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე. იცავენ საბჭოთა მოქალაქეების სინდისსა და ღირსებას.

# საგუშაგოზეა რაზმელი

ყოველდღე რესპუბლიკაში პოსტზე დგას 6 ათასზე მეტი რაზმელი. გასულ წელს მათი მონაწილეობით გაიხსნა ათობით სისხლის სამართლის დანაშაული.

რაზმელები მამაცურად ებმებოდნენ ხულიგნებთან, ლოთებთან, სოციალისტური თანაცხოვრების წესების დამრღვევებთან ბრძოლაში, ეს ითქვა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელების რესპუბლიკური შტაბის სხდომაზე, რომელიც ახლახანს გაიმართა.

შტაბს მეთაურობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია. შტაბის წევრებმა განიხილეს რესპუბლიკის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელების მუშაობის 1984 წლის შედეგები.

აღინიშნა, რომ კარგად მუშაობდნენ ქალაქების: ფოთის, ქუთაისის, ბათუმის, ქალაქ თბილისის გლდანის, საქარხნო და კიროვის რაიონების, მცხეთის, გურჯაანის, ხელვაჩაურის, ახალციხის, შუახევის, ქედისა და მთელი რიგი სხვა ქალაქებისა და რაიონების სახალხო რაზმელები. შინაგან საქმეთა ორგანოებისა და ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელების ურთიერთმოქმედების ინტერესო გამოცდილებაა შეძენილი რესპუბლიკის დედაქალაქის გლდანისა და საქარხნო რაიონებში. აქ, მაგალითად, ერთ პატრულში ორი კაცია—მილიციელი და რაზმელი. ამ და სხვა ღონისძიებების შედეგად აღნიშნული რაიონების საზოგადოებრივ ადგილებში არა მარტო შემცირდა დამნაშავეობა, არამედ მისი დონე ქალაქში ყველაზე დაბალია.

მოწინავეთა შორის დაასახელეს ხელვაჩაურისა და ახალქალაქის რაიონების ნებაყოფლობითი რაზმეულებიც, რომლებიც დახმარებას უწევენ მესაზღვრეებს საზღვრის დაცვაში. ამასთან ერთად რაზმეულები ყველგან როდი ასრულებენ ღირსეულად წაყენებულ მოთხოვნებს. მათ იშვიათად შეხვდებით სოხუმის, ოჩამჩირის, წალენჯიხის, ორჯონიკიძის (სასოფლო), თელავის, ტყიბულის, წულუკიძის, წითელწყაროს, ბორჯომისა და მთელი რიგი სხვა რაიონების ქუჩებში.

ყველა სახალხო რაზმელს არა აქვს შესაბამისი მოწმობა და სამკერდე ნიშანი.

მთლიანად მოიწონეს რა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების გასული წლის საქმიანობა, სხდომის მონაწილეებმა წინადადება შემოიტანეს გააძლიერონ რაზმეულების სამართლებრივი აღზრდა და მეთოდიკური დახმარება, ყველგან მოაწყონ მათი მორიგეობა.

განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПОБЕДУ ПРАЗДНОВАЛ В БЕРЛИНЕ



Для советского человека, прошедшего через огненные фронтовые дороги, память о войне вечно жива. Так как слишком высока была цена Победы для тех, кто грудью встал на защиту священной земли, вынес на своих плечах всю тяжесть борьбы с гитлеровскими захватчиками.

Недавно в Лагодехский военный комиссариат пришло письмо от А. Малютина, проживающего в г. Балашаха Московской области. Он разыскивал своего друга - однополчанина Ираклия Нестеровича Лобжанидзе, с которым воевал в Белоруссии, Польше, Германии. Праздник Победы они встречали в Берлине

Больно возвращаться к прошлому, вспоминать убитых, искалеченных бойцов, сожженные города и села, пережить все заново. Подполковник милиции в отставке И. Лобжанидзе с трудом говорит о суровых фронтовых буднях, о тех, с кем ему пришлось ковать победу

...В 1942 году житель села Орджоникидзе Лагодехского района девятнадцатилетний Ираклий был призван на службу в Армию. Юноша, знавший о тяжелом положении на фронте и неоднократно писавший рапорт в военкомат с просьбой отправить его добровольцем, рвался в бой.

Но воевать ему пришлось не сразу. Лобжанидзе для прохождения службы прибыл на Дальний Восток, на границу с милитаристской Японией.

Лишь в мае 1943 года он был направлен на передовую, а первое боевое крещение получил при освобождении города Кенигсберга.

— Фашисты яростно сопротивлялись. Наша минометная рота, входящая в состав 238-й Карагевской орденов Красного Знамени, Суворова и Кутузова стрелковой дивизии 49-й армии занимала позицию южнее города Кенигсберга, — вспоминает И. Лобжанидзе. — Перед нами была поставлена задача — из минометных орудий подавить фашистские огневые точки для быстрого, внезапного наступления наших войск. Горело все, от взрывов содрогалась земля. Но мы выполняли приказ и выстояли, город был освобожден от фашистских захватчиков.

За взятие города Кенигсберга И. Лобжанидзе был представлен к ордену Красной Звезды. В этом же бою Ираклий Нестерович получил первое ранение.

Труден был путь к победе. Позади оставались разрушенные и опустошенные населенные пункты, страшные следы озверевших фашистов. Многое пришлось повидать И. Лобжанидзе. Но самое ужасное, как он говорит, — это терять друзей, с которыми делил удачи и трудности фронтовой жизни.

— На подступах к городу Шведт, — рассказывает И. Лобжанидзе, — расположенного в 70—75 км. от Берлина, нашей 49-й армии предстояло прорвать оборону противника и выйти к направлению столицы рейха. Наступление усложнялось по двум причинам: во-первых, фашисты занимали командные высоты, и вся местность постоянно простреливалась, а во-вторых — половодьем. Местность между руслом Одера и каналом была затоплена. Через взорванные шлюзы, из полноводного канала, на равнину обрушивались бушующие потоки воды.

— Но это не могло заставить нас, — продолжает Ираклий Нестерович, — начать наступление. В апреле 1945 г. наши войска, проявив мужество и храбрость, прорвали оборону противника в этом направлении и с честью выполнили боевое задание.

При прорыве обороны фашистов несмотря на два ранения, он продолжал руководить огнем минометного отделения. Лишь по окончании боя И. Лобжанидзе был направлен в госпиталь. После выздоровления он нашел свою часть уже в захваченном Берлине, где и праздновал Победу.

Фронтовой путь ветерана войны Ираклия Нестеровича отмечен многочисленными орденами и медалями, ему трижды объявлялась благодарность от Верховного Главнокомандующего. После войны Ираклий Нестерович решил посвятить себя работе в милиции, чтобы вести борьбу с теми, кто посягает на социалистическую законность. По окончании Тбилисской школы юристов он направляется инспектором ОБХСС в Гурджаанский РОВД. В 1951 г. он переводится на работу в Лагодехский РОВД старшим уполномоченным ОБХСС, а затем заместителем начальника РОВД. Много трудностей было в работе бывшего фронтовика И. Лобжанидзе. Бессонные ночи, опасная, кропотливая, порой изнурительная работа. Все это было не ново в жизни защитника правопорядка.

Много раскрытых дел на счету И. Лобжанидзе. Но самое трудное было убийство, которое произошло в одном из сел Лагодехского района. В течение десяти лет поиски не давали никаких результатов. Ему, новоиспеченному молодому сотруднику, поручили раскрытие этого убийства. Начались напряженные будни. Разрабатывались и проверялись различные версии, часто приходилось начинать все сначала. Но благодаря умению и мастерству, оперативная группа с честью справилась с заданием. Убийца был задержан и получил по заслугам.

За раскрытие этого преступления Ираклию Нестеровичу была объявлена благодарность от министра внутренних дел ГССР.

С апреля 1977 г. И. Лобжанидзе находится на заслуженном отдыхе. Но и сейчас он продолжает оставаться в строю — работает юрисконсультом при Лагодехском РАПО. Ираклий Нестерович вновь в строю, человек огромной воли, прошедший через тяжкие испытания, оставшийся до конца преданный своему делу.

**И. СЛОЯН.**

**НА СНИМКЕ: И. Лобжанидзе.**

**БОЕВОЙ СТРАЖ**

**2 марта 1985 года.**

# ანგარიშს იბარებს შრომითი კოლექტივი

**სულ** ახლახანს კავკასიის სალოფლოჰიდრომშენებლობის ქ. თბილისის საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლებს მუშაობის ანგარიში ჩააბარა დედაქალაქის შინაგან საქმეთა ორჯონიკიძის რაიგანყოფილების არასაუწყებო დაცვის განაყოფის მეთაურის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში, მილიციის ლეიტენანტმა გ. აბეწვაშვილმა. იგი 1983 წლის მაისში ზემოთ დასახელებული კოლექტივის რეკომენდაციით მოვიდა სამუშაოდ შინაგან საქმეთა ორგანოების რიგებში.

ახალმა კოლექტივმა გულთბილად მიმიღო, — აღნიშნა გ. აბეწვაშვილმა, პირველ დღიდანვე ვიგრძენი განყოფილების ხელმძღვანელი მუშაკების ყურადღება და მზრუნველობა. მილიციის მუშაკის რთული და პასუხსაგები ამოცანების, ბრძანებებისა და დირექტიული მითითებების, სამოქმედო უბნის ავ-კარგის გაცნობა-შესწავლაში დიდი დახმარება გამიწია ოპერრწმუნებულმა, მილიციის კაპიტანმა რ. დვალმა, რომელიც განყოფილების უფროსის ბრძანებით დამრიგებლად მომამაგრეს. თავდაპირველად არასრულწლოვანთა ინსპექციის ინსპექტორად დამნიშნეს. მეტად სათუთია არასრულწლოვანთა ბუნება, ის ფაქიზ დამოკიდებულებას საჭიროებს ყველა მოქალაქისა და უპირველეს ყოვლისა, მილიციის მუშაკისაგან...

ბევრი გზასაცდენილი არასრულწლოვანი დააყენა სწორ გზაზე გ. აბეწვაშვილმა. მართალია მას სამსახურებრივი გამოცდილება აკლდა, მაგრამ ამას შრომისმოყვარეობით ავსებდა.

ახალგაზრდა თანამშრომლის გარჯას უკვალოდ არ ჩაუვლია, ის რამდენჯერმე იქნა წახალისებული, შემდეგ კი რეკომენდაცია მიეცა, დანაყოფის მეთაურის მოადგილედ პოლიტიკურ ნაწილში, თანამდებობაზე დასაწინაურებლად.

სწორედ ამ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება არასაუწყებო დაცვის დანაყოფის მეთაურმა, მილიციის კაპიტანმა მ. ლობჟანიძემ, როცა შეკრებილთ გ. აბეწვაშვილის პიროვნების შესახებ ესაუბრებოდა.

საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლებმა ილაპარაკეს ამხ. გ. აბეწვაშვილის თავაზიანობის, შრომისმოყვარეობის, პატიოსნების შესახებ.

ბოლოს გ. აბეწვაშვილმა კოლექტივს აღუთქვა, რომ ძალასა და ენერგიას არ დაიშურებს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. იმისათვის, რომ დანაყოფის პირად შემადგენლობაში სამსახურეობრივ — საშემსრულებლო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების მდგომარეობის საკითხი მაღალ დონეზე იდგეს. ამასთან ის ყოველთვის გაუფრთხილდება თავისი პირველი შრომითი კოლექტივის ღირსებას, რომელმაც მას რეკომენდაცია მისცა შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ.

**ხ. ჭეიშვილი,**
**მილიციის მაიორი.**
**ქ. თბილისის ორჯონიკიძის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში.**

# ყურადღება

შრომითი რესურსების მაღალეფექტიანად გამოყენებისა და იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, 1985 წლის 1 მარტიდან 1 მაისამდე რესპუბლიკაში ეწყობა შრომითი რესურსების გამოყენებისა და მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის დათვალიერება. ბრძოლა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში შრომისუნარიანი მოსახლეობის მაქსიმალური ჩაბმისათვის, რესპუბლიკის თითოეული პარტიული ორგანიზაციის, თითოეული შრომითი კოლექტივის, თითოეული მოქალაქის მოვალეობაა.

ЭТО ИНТЕРЕСНО

# РИСУНКИ ВИКТОРА ГЮГО

Относительно скромная известность Виктора Гюго, как художника, не идет ни в какое сравнение с его всемирной немеркнущей славой писателя. О рисунках Гюго сейчас вообще мало кто знает. Хотя в свое время некоторые его произведения, вошедшие в сокровищницу мировой литературы, увидели свет с авторскими иллюстрациями: граверы и издатели испрашивали у писателя разрешения на воспроизведение его графических работ. В 1863 г. был издан альбом рисунков Гюго. Искусствоведы утверждали: «Если бы Виктор Гюго не был поэтом, он был бы первостепенным художником».

Проблемы правосудия и законности постоянно и глубоко волновали великого реалиста и романтика. Он самостоятельно изучал право, хорошо знал законодательство, судебные порядки не только Франции, но и других стран, не только современные ему, но и в исторической ретроспективе. По страницам его произведений, вроде тех, что в романе «Человек, который смеется», озаглавлены «Какие судебные чины скрывались под париками того времени» или «Закон, король, чернь», можно изучить различные стороны юридической действительности. Например: какова процессуальная природа ареста, задержания, вызова в суд, что входило в свое время в компетенцию шерифа или судебного пристава, гражданского или полицейского судьи и т. д. До того, как Наполеон III изгнал Гюго из Франции, писатель был депутатом Законодательного собрания и выступал на обсуждении многих законопроектов.

К юридической действительности В. Гюго часто обращался как писатель и публицист. То же самое можно сказать о Гюго-художнике. В 1854 г., находясь в изгнании, он выступил с гневной декларацией против смертного приговора американцу Джону Брауну, который пытался поднять негритянское восстание против рабовладельцев. Протесты не возымели действия. Браун был казнен. А в альбоме Гюго появляется мастерски исполненный рисунок «Повешенный (Джон Браун)». Высветив из общего мрака светом невидимой луны верхнюю часть виселицы, голову и одно плечо казненного, художник добился зримой объемности изображения и большой выразительности.

На другом графическом листе сходный фон, внизу холодная брусчатка тюремного двора, а в левом углу голова казненного с застывшим страданием на лице. Этот рисунок, исполненный в 1857 г., называется «Юстиция».

Глубоким психологизмом, проникновением во внутренний мир человека, умением показать нюансы психических состояний и большой экспрессивностью отличаются воспроизводимые рисунки судейских чинов, сделанные В. Гюго.

# Первая игра, первая победа

**Итак, первая игра на очередном чемпионате страны по футболу сыграна. Тбилисские динамовцы на своем поле встретились с одноклубниками Москвы и победили со счетом 2:1.**

Динамовский коллектив столицы Грузии с полным правом можно назвать «командой 20-летних». В ней собраны на сегодня техничные и, безусловно, талантливые ребята, которые стремятся как можно быстрее решить исход встречи с любым соперником в собственную пользу. Издержками молодости игроков обеих команд, недостатком зрелого расчета можно объяснить первые голы в отчетном поединке. Вначале не подстраховали вовремя Кеташвили, дебютировавшего в роли стоппера, и Васильев своего шанса не упустил (13-я минута). Сквитал результат на 27-й минуте Шенгелия, своим стремительным рывком заставивший ошибиться на выходе Дербунова. На долю этого форварда пришелся и второй гол, забитый в ворота москвичей в результате многоходовой комбинации, разыгранной на одном дыхании, в одно касание, на 64-й минуте. Счет 2:1, несмотря на видимые усилия соперников и на произведенные замены, не изменился до конца.

# ИНТЕРВЬЮ ПЕРЕД МАТЧЕМ

**Накануне открытия первенства СССР по футболу наш корреспондент побывал на учебно-тренировочной базе тбилисских динамовцев в Дигоми, где встретился со старшим тренером команды, заслуженным мастером спорта Давидом Кипиани и попросил его ответить на несколько вопросов.**

**— Завтра — открытие сезона и, наверное, уже можно подвести итоги подготовительного периода.**

— Готовились мы к чемпионату 66 дней, начали еще в декабре прошлого года. Первый этап провели в Тбилиси, а в начале января уехали на двухнедельные сборы в Эшеры. Здесь большое внимание уделили физической подготовке команды. Объемы и интенсивность нагрузок по сравнению с прошлогодним подготовительным периодом, возросли на 25 процентов. Подготовку не форсировали. Сделали это для того, чтобы футболисты постепенно входили в спортивную форму. Заключительный сбор провели в Леселидзе, но, к сожалению, из-за погодных условий пришлось завершить его раньше намеченного срока.

**— В подготовительном периоде вы провели несколько игр с командами высшей лиги и участвовали в международном турнире.**

— Да. Мы сыграли вничью с «Кайратом» и «Днепром», победили «Жальгирис» и «Динамо» (Киев). В международном турнире встретились с «Олимпией» (Любляна) и выиграли со счетом 3:1, а вот чехословацкой команде «Руде гвезда» проиграли — 0:2. Плохо то, что команде из-за различных причин ни разу не удалось во всех этих встречах сыграть в полном составе.

**— Есть ли изменения в команде?**

— Из тбилисского «Динамо» ушли вратарь Кантария и нападающий Жвания — в кутаисское «Торпедо» и в Батумское «Динамо». Возвратился к нам вратарь Габелия, из ланчхутской «Гурии» пришел Придонишвили.

**— В этом году проводится чемпионат мира по футболу среди юниоров. В сборную СССР входят и грузинские спортсмены. Как они подготовились?**

— В состав сборной вошли Кеташвили и Чедия. Ребята тренировались вместе с нами. Подготовились они, на мой взгляд, хорошо. Да и вообще, работой всех спортсменов в подготовительный период я остался доволен. Ребята потрудились на славу. Конечно, результаты тренировок скажутся только на поле.

**— Завтра у вас встреча с московским «Динамо». Противник серьезный.**

— Приведу вам некоторые цифры. С этой командой мы сыграли 85 игр: 16 выиграли, 27 сыграли вничью и 42 проиграли. Из этой статистики видно, что соперник у нас действительно серьезный. Динамовцы Москвы провели товарищеские встречи с командами Болгарии и Великобритании. Так что у наших соперников накануне матча была и хорошая игровая практика.

Первая игра в начале сезона всегда трудная, а если и соперник сильный, то она трудная вдвойне. Поэтому мы к этому матчу готовились особенно серьезно и ребята настроены на победу. Но предсказывать не буду. Все покажет завтрашняя игра.

**— От имени читателей нашей газеты желаем вам победы в завтрашнем матче и удач на протяжении всего сезона.**

— Спасибо.

Беседу вел
**В. МИРОШНИЧЕНКО.**

# ФОТОКАЛЕЙДОСКОП

**Около пяти лет работали над созданием этого робота (на снимке из газеты «Асахи») ученые из научно-исследовательского института при машиностроительном институте «Мицубиси джюкогё». Его назначение — заменить человека на особо опасных участках работы. Небольшой по своим размерам и обладающий хорошей подвижностью, этот робот может работать длительное время в тесном помещении атомного реактора и выполнять различные операции в соответствии с командами человека. Он может без труда преодолевать лестничные подъемы, переступать через трубы и другие препятствия, двигаться по узким проходам. Его глаза — кинокамеры — запечатлевают для ученых необходимую видеоинформацию.**





**Мост через Лауру длиной 413 метров не выдержал непривычных для Франции морозов и рухнул. К счастью, все обошлось без жертв.**

• • •



**ПОЛЬША. Число пернатых зимовщиков на Балтике увеличивается с каждым годом. Они не боятся людей и с удовольствием принимают корм из их рук.**

**სარედაქციო კოლეგია**
**РЕДКОЛЛЕГИЯ**

ჩვენი მისამართი: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. Наш адрес: 380025. ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში, წოწარაულის 29. უე 06067